სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

წლიური ანგარიში 2011 (შესრულებული სამუშაოები)

მსხვილი პროექტები

eTreasury - სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა

- ფუნქციონალის განვითარება, ბიუჯეტირებისა და საგარეო ვალის სისტემებთან ინტეგრაცია
- თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ტექნოლოგიური განახლება
- 500-ზე მეტი მხარჯავი დაწესებულების მომხმარებლების ტრენინგი და მხარდაჭერა.

eBudget - სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვის ელექტრონული სისტემა

- ფუნქციონალის განვითარება, პროგრამული ბიუჯეტირების დანერგვა, ხარჯთაღრიცხვის ცვლილების პროცესის მართვისა და კონტროლის ოპტიმიზაცია
- საინვესტიციო პროექტების ბიუჯეტირებისა და ხარჯვის პროცესის მოდერნიზება
- მიზნობრივი გრანტების აღრიცხვისა და მართვის პროცესის ავტომატიზაცია
- 49 პირველი დონის მხარჯავი დაწესებულების 150-მდე მომხმარებლის მხარდაჭერა.

FDMS - საგარეო ვალის მართვის სისტემა

- საგარეო ვალის პროექტების ფინანსური და არაფინანსური ინფორმაციის აღრიცხვისა და გამოთვლის სისტემათა შემუშავება და დანერგვა.
- შიდა სესხისა და შიდა ვალის მოდულების შემუშავება და დანერგვა. მათი მეშვეობით ხდება სახელმწიფოს მიერ აღებული და გაცემული ფასიანი ქაღალდებისა და სესხების აღრიცხვა და მომსახურება.

პორტალები, ვებ-გვერდები, ელექტრონული სისტემები

განვითარება, განახლება, მხარდაჭერა

ფინანსთა სამინისტროსა და მისი ორგანიზაციების ვებ-გვერდები:

- www.mof.ge - ფინანსთა სამინისტრო
- www.etreasury.ge - ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა
- www.ebudget.ge - ბიუჯეტის დაგეგმის ელექტრონული სისტემა
- www.is.ge - ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური
- www.ia.ge - შიდა აუდიტი
- www.mofacademy.ge - აკადემია

- testing.mofacademy.ge - აკადემიის სტაჟიორთა რეგისტრაცია
- www.fas.ge - სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური
- ACMS – დავების განხილვის სისტემის მხარდაჭერა-ოპტიმიზაცია
- FAS - შიდა კორპორატიული სივრცის მხარდაჭერა-განვითარება
- www.eauction.ge - ელექტრონული აუქციონი. 2011 წლის 1-ლი იანვრიდან 13 დეკემბრამდე გაყიდულია 13 396 ლოტი. 14 640 აქტიური მომხმარებელი.
- eDocument - დოკუმენტბრუნვისა და დავალებების მართვის სისტემა. 2011 წელს დაინერგა 13 ორგანიზაციაში. მომხმარებელთა (End User) საერთო რაოდენობა 3577.

ჰოსტინგი:

- www.iamgeorgian.com - ქართული დიასპორა
- www.menr.gov.ge - ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
- www.government.gov.ge - საქართველოს მთავრობა
- www.businessombudsman.ge - ბიზნეს-ომბუდსმენი

ინფრასტრუქტურა, მხარდაჭერა

განხორციელდა:

- Exchange Server - კორპორაციული ელექტრონული ფოსტის სისტემის დანერგვა. სისტემა საშუალებას იძლევა ელ.ფოსტის სისტემაში მოხდეს საერთო კალენდრის, დავალებების და კონტაქტების ინტეგრაცია. ხდება სარეზერვო კოპირება და დატვირთვის ბალანსირება.
- Lync-ის დანერგვა - მაიკროსოფტის გაერთიანებული საკომუნიკაციო სერვერის დანერგვა. Lync სერვერი ინტეგრირდება Exchange სერვერთან. კომუნიკაციის სერვერი საშუალებას იძლევა მოხდეს შიდა მიმოწერა (Instant Messaging), ვიდეოკონფერენციები, დესკტოპის გაზიარება (desktop sharing), პრეზენტაციები და ა.შ.
- DMFAS - საგარეო ვალის მართვის ელექტრონული სისტემის განახლება, ბაზის კონვერტაცია და დანერგვა.
- XP24000, SuperDome2-ზე მიგრაცია - მაღალი წარმადობის მონაცემთა შენახვის სისტემის დანერგვა და ახალ სერვერულ პლატფორმებზე მიგრაცია.
- DR - სარეზერვო კოპირების სარკული ცენტრის დაგეგმვა და მშენებლობა, ინფრასტრუქტურის ოპერაციებისათვის მომზადება და აპარატურის შესყიდვა.
- ინტერნეტ-ინფრასტრუქტურის გაძლიერება - ინტერნეტის არხის სიმძლავრის გაზრდა, ახალი Gateway-ს დანერგვა, გლობალური IP მისამართების შეძენა და პროვაიდერების დუბლირება.
- სალარო აპარატების ინფრასტრუქტურის აწყობა - GPRS სისტემაზე მომუშავე სალარო აპარატების სერვერული და ქსელური ინფრასტრუქტურის აწყობა.
- ASYCUDA-ს მიგრაცია DMZ ქსელში - საბაჟო სისტემაზე გარედან წვდომის გახსნა და ბიზნესისასთვის ოპერაციების გამარტივება.

- გარე სერვისები - ენერგეტიკის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სერვისების აწყობა (web, mail, AD). ღრუბლოვანი მოდელის დანერგვა და სერვისების მიწოდება სხვა სახელმწიფო ორგანიზაციებისათვის.
- შემოსავლების სამსახურის გარე სერვისების ოპტიმიზაცია - web-სერვერების ახალ სისტემებზე გადაყვანა და დატვირთვის ბალანსირება.
- საპორტის ცხელმა ხაზმა მიიღო და მოემსახურა 23166 ზარს.
- ტექნიკური მომსახურება გაეწია 4420 მომხმარებელს.
- ტრენინგი ჩაუტარდა 5388 მომხმარებელს.
- 1831 მომხმარებელთან დაინერგა Exchange-ი da Lync-ი.

კადრები, კვალიფიკაციის ამაღლება

- 2011 წლის განმავლობაში კვალიფიკაცია აიმაღლა სამსახურის 15-მა თანამშრომელმა.